ფოთის გაზიფიცირება მალე დასრულდება
გვ. 2

დაცემული ლარი, „აგულავებული„ დოლარი და ცეცხლმოკიდებული ბაზარი
გვ. 3

„ახალგაზრდული საკრებულო 64 მუნიციპალიტეტში„ პრეზენტაცია ფოთში
გვ. 2

გაზეთი მესამე სექტორი

ფასი 50 თეთრი № 5 -- 16 - 22 მარტი 2015 წელი\ - გამოდის სამშაბათობით

ბაღების გაერთიანების მიმართ აღმზრდელებისა და მშობლების პრეტენზიები იზრდება
გვ.3

„აიეტის„ დევნილებს ულიფტობა აწუხებთ
გვ. 4

პრობლემა ყურადღების მიღმა
გვ. 6

ქართველი მეთევზეები თავიანთი უფლებების აღდგენას ითხოვენ
გვ. 4

შენ ჯერ ეგ არ გინახავს?



აქ გვიპოვი ჩვენ

www.msnews.ge

სოციალურად დაუცველი 20 ადგილობრივი ოჯახი შუქს ითხოვს

მარი ჯავახია
ფოთი

ფოთში, ნანავას ქუჩის №1-ში არსებული სახელვაო ძალების ყოფილ ადმინისტრაციულ შენობაში, წელიწადნახევარია 20 ადგილობრივი ოჯახი უკიდურესად შეჭირვებულ მდგომარეობაში ცხოვრობს. აღნიშნული შენობა შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალანსზეა, სადაც სოციალურად დაუცველი 20 ოჯახი თვითნებურად შეიჭრა. ორსართულიანი მიტოვებული შენობა ადგილობრივმა უსახლ-კაროებმა იპოვეს და დროებით თავი შეაფარეს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ საცხოვრებელს ძნელია, სახლი უწოდო. გაუსაძლის პირობებს უკეთესის არარსებობის გამო უკვე თითქმის წელიწადნახევარია მოხუცები, ბავშვები და ავადმყოფები უძლებენ. შენობაში, სადაც სოციალურად დაუცველებმა დროებითი თავშესაფარი იპოვეს, უკვე თვეზე მეტია შუქი არ აქვთ.

აღნიშნულ შენობაში მცხოვრები ადგილობრივი ოჯახიდან ყველა სოციალურად დაუცველია. შენობა 2 სართულიანია და ავარიულ მდგომარეობაშია. სახურავიდან ჩამოსდით წყალი. შენობაში სრული ანტისანიტარიაა. დროებით ჩასახლებულები შენობაში საერთო საპირფარეშოთი სარგებლობენ. არ გააჩნიათ არანაირი სველი წერტილი და წყლის შემოტანა უწევთ ეზოებიდან. აღნიშნულ შენობაში შესვლის დღიდან არ აქვთ ელექტროენერგია. მხოლოდ ახალი წლის დღეებში ენერგო კომპანიამ ჩაურთო დროებით შუქი. „წინასაახაწლოდ შევაგროვეთ 200 ლარი და დეპოზიტზე შევიტანეთ, რიც შემდეგაც ენერგო კომპანიამ ჩაგვირთო შუქი, მაგრამ როგორც კი ამოიწურა თანხა ისევ გამოგვირთეს. ჩვენ კი ვიფიქრეთ პრობლემა უკვე მოგვარებული იყო და მრიცხველები დავაყენეთ. დღეს კი ისევ უშუქოთ ვართ უკვე თვეზე მეტია". მათი თქმით უშუქობის და სიცივის გამო ბავშვები ნაცნობებთან დაჰყავთ ცოტა ხნით მაინც რომ გაათბონ და რაღაცით გაართონ. მოსწავლეებს კი ისევ სანთლის შუქზე უწევთ გაკვეთილების მომზადება. ბავშვები მუდმივად ცივდებიან, წამლის საყიდელი საშუალება კი არ აქვთ. როგორც ამბობენ, არაერთხელ მიმართეს ქალაქის მესვეურებს ამ პრობლემით, მაგრამ უარყოფითი პასუხი მიიღეს. კერძოდ, აქ მაცხოვრებლები ელექტროენერგიის ჩართვას ითხოვენ. იქ მცხოვრები ქალბატონის ლუარა მალანიას თქმით: „ასეთ პირობებში შეუძლებელია ცხოვრება, აუტანელია უშუქობა, უწყლობა. არანაირ ყურადღებას არ გვაქცევს ადგილობრივი მმართველობა". ქალბატონი ლუარა გულისტკივილით გვეუბნება, როგორ ესაუბრებიან ბავშვები ერთმანეთს - რომელ საუკუნეში ვცხოვრობთო? იქაური მაცხოვრებლები ითხოვენ ელექტროენერგიის ჩართვას, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც იმუქრებიან, უკიდურესი ზომას მიმართავენ და აქციებს გამართავენ.

მოსახლეობა თვითმმართველობას უმოქმედობა-

გაგრძელება 2-გვ.

გამომცემელი და დირექტორი, მთავარი რედაქტორი
ინგა გვასალია - 599 341 417;
ingagvasalia@gmail.com

რედაქტორი
მარი ჯავახია - 579 241 122

დისტრიბუციის სამსახური
ეკა კაცია
568845740

კორესპონდენტები:
თათია ლოლუა
(ფოთი)
598 147 907

ეკა ურთმელიძე
(ფოთი)
598685937

გიორგი სესკურია
(ზუგდიდი)
555 14 76 24

გამოქვეყნებული მასალის შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. სტატიის ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

2013 წლის ბოლოდან 7 % -ით გაუფასურდა ეროვნული ვალუტა, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე აცხადებს ვალუტის კურსის



ვარდნა მყარია. და ზღრულ ნიშნულს არ ცილდება. გასულ წელს 23 %-ით გაიზარდა ქვეყნის მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა. ერქპერტების აზრით მთავრობა ზედმეტ ფულს ბეჭდავს, რაც ინფლაციის მიზეზია. მიმდინარე წლის იანვარში დოლარის მიმართ ლარის კურსი ყოველდღიურად იცვლება და მაღლა მიიწევს. ბოლო დღეების მონაცემებით ერთი ამერიკული დოლარი -2 ლარზე მეტია, ერთი ევრო - 2,3 ლარი, ერთი თურქული ლირა - 0,78 ლარი.

სოციალურად დაუცველი 20 ადგილობრივი ოჯახი შუქს ითხოვს

დასაწყისი პირველ გვ-ზე

ში, უყურადღებობასა და გულცივობაში ადანაშაულებს. როგორც ამბობენ, რამდენჯერმე მიმართეს წერილებით მერია-საკრებულოს, მაჟორიტარ დეპუტატს, მაგრამ არანაირი პასუხი არ მიუღიათ. თვითმმართველობაში კი აცხადებენ, რომ სტატუსის გარეშე ენერგოკომპანია ვერ შეძლებს იქ დენის შეყვანას. ხოლო რაც შეეხება წყალმომარაგებას ეზოში მოდის წყალი და იქედან ეზიდებიან.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით მივმართეთ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროს ზვიად შუბითიძეს. მისი თქმით, ამ ადამიანების პრობლემები უცხო არ არის მათთვის და იმასაც ამბობს, რომ ეს ადამიანები წელიწადნახევრის წინ უნებართვოდ შეიჭრნენ ამ შენობაში. შენობა კი ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა და შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს სარგებლობის უფლება.

შუბითიძე ასევე ამბობს, რომ ამ ხალხის განცხადების საფუძველზე, შუამდგომლობის არა ერთი წერილი აქვთ გაგზავნილი როგორც ეკონომიკის სამინისტროში, ასევე სხვა სტრუქტურებში: "მივმართეთ მათ, რომ მათი ცხოვრების პერიოდში დართონ ნება დარეგისტრირდნენ აბონენტებად და მიიღონ ნებართვა ელექტრო ენერგიის ჩართვისთვის. ეს შენობა არ არის ქალაქის ბალანსზე, ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია მათ მიერ გაკეთებულ განცხადებას შესაბამისი მსვლელობა მივცეთ შესაბამის სტრუქტურებში და დავაყენოთ შუამდგომლობა".

ცხადია, მარტო შუამდგომლობა პრობლემას ვერ აგვარებს და რა დააშავეს პატარებმა, რომლებიც 21-ე საუკუნეში გასულ საუკუნეზე უარესად ცხოვრობენ?

ფოთის გაზიფიცირება მალე დასრულდება

ეკა კაცია
ფოთი

ფოთის გაზიფიცირება, როგორც "სოკარ-ჯორჯიას" მესვეურები გვპირდებიან, გაზაფხულისთვის დასრულდება. ფოთის სერვის-ცენტრის უფროსის ირაკლი გურგენაძის თქმით, 2008 წლიდან დაწყებულია გაზიფიცირება: "დატესტილია დარჩენილი უბნები, რაც შეეხება პარკის უბანს და ახალი სოფლის უბანს, ვამზადებთ გაზის შესაშვებად. შარშან გაზაფხულზე დავამატეთ კუნძულის უბანი, რომელიც ასევე მთლიანად გაზიფიცირებულია. გაზიფიცირებულია ნაბადის უბანიც, გაზი მიეწოდება მშვიდობის ქუჩიდან გამსახურდიას ქუჩამდე მონაკვეთებს და გურიის ქუჩის მარჯვენა და მარცხენა მხარეს არსებულ ქუჩებსაც. რაც შეეხება განვადებით გაზის შეყვანას, აქამდე 600 ლარი იყო, ფასდაკლების შემდეგ კი 400 ლარი გახდა. ოჯახებში გაზის შეყვანა დამოკიდებულია მოქალაქეზე, როდის მოგვმართავს განცხადებით, გაზის შეყვანა ხდება განაცხადის მიღებიდან 40 სამუშაო დღეში. ადრე კორპუსებში მცხოვრებ მოსახლეობას უწევდა დაქსელვის თანხის შეგროვება. ეს დისკომფორტს ქმნიდა და დროში იწელებოდა პროცესი, რადგან უჭირდათ ამ თანხის აგროვება. მიღებულია გადაწყვეტილება, რომელსაც არეგულირებს სემეკი. სემეკის დადგენილებით, სადარბაზოების დაქსელვას ჩვენი კომპანია აკეთებს საკუთარი ხარჯებით. ამ შემთხვევაში მოგებულია როგორც მოსახლეობა, ისე ჩვენი კომპანია, რადგან თუ მოხდა განაცხადის ერთობლივი შემოტანა კონკრეტული კორპუსიდან, შესაბამისად, საპროექტო და სამონტაჟო სამუშაოები ტარდება ერთობლივად, რაც დროის ეკონომიას გვაძლევს. ჩვენი კომპანია მოგებული რჩება იმ მხრივაც, რომ ერთიანად ბევრი აბონენტი გვეყოლება ჩართული და მოსახლეობაც მოგებულია, რომ დროში არ იწელება პროცესი და მალე ხდება განხორციელება. ზოგადად, მთელი პროცედურა მოიცავს 40 სამუშაო დღეს". გურგენიძის თქმითვე, მათ მომსახურეობაში შედის წელიწადში არანაკლებ 3- ჯერ საცხოვრებელ სახლში არსებული დანადგარების შემოწმება, რამდენად გამართულად მუშაობს იგი, ეს ხდება მათი ინიციატივით. გარდა ამისა, ფაქტიურად ყოველდღიურ რეჟიმში ხდება აბსოლიტურად ყველა უბნისა და ქუჩის ქსელის შემოვლა და შემოწმება. რაც შეეხება საავარიო სამსახურს, 24 საათის განმავლობაში მუშაობენ და მოსახლეობას შეუძლია ნებისმიერი მობილური ოპერატორიდან დაუკავშირდნენ მათ ნომერზე 16 114 ან 114. შეტყობინება გადასახადის შესახებ მოსახლეობას მიუვა არა მხოლოდ ქვითრის სახით, არამედ მობილურ ტელეფონებზე.

„ახალგაზრდული საკრებულო 64 მუნიციპალიტეტში„ პრეზენტაცია ფოთში

მარი ჯავახია
ფოთი

ფოთში ახალგაზრდებისთვის არასამთავრობო ორგანიზაციამ „ადამიანი კანონი თავისუფლებას" პროექტის „ახალგაზრდული საკრებულო 64 მუნიციპალიტეტში" პრეზენტაცია გამართა. ორგანიზაციის წარმომადგენლები ფოთის მუნიციპალიტეტის 26 ახალგაზრდას შეხვდნენ, გააცნეს პროექტი, ისაუბრეს მის მნიშვნელობაზე და პროექტში ახალგაზრდების ჩართულობაზე. ასევე უპასუხეს ახალგაზრდების კითხვებს. შეხვედრის ბოლოს მოსწავლეებისთვის ჩატარდა ტესტირება. როგორც პროექტის მენეჯერმა დასავლეთ საქართველოში, გიორგი მღვდელაძემ განგვიმარტა ტესტირების შედეგები რამოდენიმე დღეში იქნება ცნობილი, რომლის შედეგადაც შეირჩევა 15 ახალგაზრდული საკრებულოს წევრი, შესაბამისად ჩამოყალიბდება თემატური ჯგუფები და აირჩევა თავმჯდომარეც. მღვდელაძის თქმით პროექტისთვის შეირჩა XI-XII კლასის მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები.

მისივე განმარტებით საქართველოს მასშტაბით პროექტის ფარგლებში 6000-ზე მეტ მოსწავლესთან გეგმავენ შეხვედრას. ტესტირების შედეგად მხოლოდ 2105 მოსწავლე შეირჩევა, რომლის მთავარი მიზანია მოტივირებული და განათლებული ახალგაზრდები ჩაერთოს თვითმმართველობის საქმიანობაში, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა ლიდერების გამოკვეთას.

ᲓᲐᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲚᲐᲠᲘ, „ᲐᲒᲣᲚᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ„ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲖᲐᲠᲘ

ᲔᲙᲐ ᲙᲐᲪᲘᲐ
ᲤᲝᲗᲘ

ᲑᲝᲚᲝ ᲓᲠᲝᲡ ᲚᲐᲠᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲓᲐᲪᲔᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲐᲒᲠᲐᲠᲣᲚ ᲑᲐᲖᲐᲠᲨᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲛᲐ ᲡᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲘᲛᲐᲢᲐ. ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲚᲐᲪᲘᲐᲖᲔ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ �გᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ, ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ, ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲨᲘ ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ 0.9%-ᲘᲗ. 2015 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲨᲘ ᲬᲘᲜᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲘᲜᲤᲚᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ 1.3 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ.

ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ,ᲬᲘᲜᲐ ᲗᲕᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ ᲑᲔᲕᲠ ᲠᲐᲛᲔᲡ ᲨᲔᲔᲮᲝ. ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲘ ᲓᲐ ᲣᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲝ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲔᲑᲘ �გᲐᲫᲕᲘᲠᲓᲐ 0.1%-ᲘᲗ; ᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝ – 1.0%-ᲘᲗ, ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ, ᲬᲧᲐᲚᲘ, ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ, �გᲐᲖᲘ – 0.4%-ᲘᲗ; ᲐᲕᲔᲯᲘ, ᲡᲐᲝᲯᲐᲮᲝ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘ – 0.5%-ᲘᲗ, ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ – 0.9%, ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ, ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲘ, ᲙᲐᲤᲔᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲜᲔᲑᲘ 0.7%, ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ – 1.5%; ᲐᲛ �პᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲒᲐᲘᲐᲤᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ – 1.2%-ᲘᲗ, ᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲘ - 2.4 %-ᲘᲗ ᲓᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲒᲐᲑᲛᲣᲚᲝᲑᲐ – 0.1%-ᲘᲗ.

ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲝ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲤᲐᲡᲔᲑᲘ �გᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ 1.9%-ᲘᲗ. ᲮᲘᲚᲖᲔ ᲤᲐᲡᲘ �გᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ 18.6%-ᲘᲗ, ᲮᲝᲠᲪᲘ ᲓᲐ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘ – 4.2%-ᲘᲗ. ᲮᲝᲚᲝ ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲓᲩᲔᲣᲚᲖᲔ ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲐ 6.1%-ᲘᲗ.

ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲗᲕᲔᲡ - �გᲐᲠᲓᲐ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲥᲪᲘᲖᲘᲡ �გᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘᲡ ᲖᲠᲓᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, 1 ᲛᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜ ᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲣᲠ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲔᲑᲖᲔ ᲤᲐᲡᲛᲐ ᲘᲛᲐᲢᲐ, �გᲐᲫᲕᲘᲠᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲪ. ᲞᲣᲠᲖᲔ ᲤᲐᲡᲛᲐ 10 ᲗᲔᲗᲠᲘᲗ ᲛᲝᲘᲛᲐᲢᲐ. 30 ᲗᲔᲗᲠᲘᲗ ᲛᲝᲘᲛᲐᲢᲐ ᲨᲐᲥᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲛᲐ.

ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲬᲘᲬᲘᲑᲣᲠᲐᲡ, ᲐᲥ ᲤᲐᲡᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐ�გᲠᲫᲜᲝᲑᲘᲐ. ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲬᲘᲑᲣᲠᲐᲡ ᲓᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 50 ᲗᲔᲗᲠᲘᲗᲐᲐ ᲛᲝᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲐᲡᲔᲐ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲘᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ, ᲐᲛᲘᲡ �გᲐᲡᲐᲠᲙᲕᲔᲕᲐᲓ ᲕᲔᲡᲢᲣᲛᲠᲔᲗ ᲤᲝᲗᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲡ. ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲒᲐᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲑᲐᲖᲐᲠᲨᲘ ᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲗᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲡᲐ�გᲠᲫᲜᲝᲑᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲐ: „ᲒᲐᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘ“ – ᲐᲡᲔ “ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲔᲜ” ᲘᲡᲘᲜᲘ . ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲡᲢᲠᲘᲑᲘᲣᲢᲝᲠᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲤᲐᲡᲛᲐ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔ ᲛᲝᲘᲛᲐᲢᲐ 15-20%-ᲘᲗ, ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ ᲢᲝᲛᲐᲢᲘ ᲗᲣ ᲦᲘᲠᲓᲐ 1.50 ᲚᲐᲠᲘ, ᲐᲮᲚᲐ ᲦᲘᲠᲡ 1,80. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ �გᲐᲫᲕᲘᲠᲓᲐ 30-40 ᲗᲔᲗᲠᲘᲗ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲘᲒᲘ ᲘᲛᲐᲡᲐᲪ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲨᲔᲕᲮᲓᲔᲑᲘᲗ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲖᲔ ᲫᲕᲔᲚ ᲤᲐᲡᲔᲑᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲨᲔᲛᲓᲔ�გᲘ ᲐᲮᲡᲜᲐ ᲛᲝᲣᲫᲔᲑᲜᲐ: „ᲘᲛ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲘᲡᲔᲕ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲖᲔ, ᲔᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ ᲨᲔᲫᲔᲜᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲗ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ ᲐᲜ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲮᲨᲘᲠᲘ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪᲐᲐ ᲨᲐᲥᲐᲠᲘ. ᲖᲝᲒᲘ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲘᲡ ᲛᲔᲠᲞᲐᲢᲠᲝᲜᲔᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲙᲚᲘᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲕᲐ ᲓᲐ ᲣᲠᲩᲔᲕᲜᲘᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲣᲛᲐᲢᲝᲡ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲡ, ᲔᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘᲐ.

ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲐᲡᲔᲐ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲘᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ, ᲐᲛᲘᲡ �გᲐᲡᲐᲠᲙᲕᲔᲕᲐᲓ ᲕᲔᲡᲢᲣᲛᲠᲔᲗ ᲤᲝᲗᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲡ. ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲒᲐᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲑᲐᲖᲐᲠᲨᲘ ᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲗᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲡᲐ�გᲠᲫᲜᲝᲑᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲐ: „ᲒᲐᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘ“ – ᲐᲡᲔ “ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲔᲜ” ᲘᲡᲘᲜᲘ . ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲡᲢᲠᲘᲑᲘᲣᲢᲝᲠᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲤᲐᲡᲛᲐ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔ ᲛᲝᲘᲛᲐᲢᲐ 15-20%-ᲘᲗ, ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ ᲢᲝᲛᲐᲢᲘ ᲗᲣ ᲦᲘᲠᲓᲐ 1.50 ᲚᲐᲠᲘ, ᲐᲮᲚᲐ ᲦᲘᲠᲡ 1,80. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲘᲒᲘ ᲘᲛᲐᲡᲐᲪ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ, ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘᲐ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲓᲐᲜ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲐᲛᲐᲓᲚᲐ ᲠᲝᲛ ᲕᲗᲥᲕᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲩᲔᲛᲡ ᲨᲕᲘᲚᲡ ᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲔᲥᲛᲜᲐᲡ ᲐᲦᲛᲗᲠᲓᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ, ᲐᲠᲐᲓᲐ ᲘᲛᲐᲗᲐᲡᲪ ᲠᲐ ᲥᲜᲐᲜ? ”- ᲒᲕᲘᲗᲮᲠᲔᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲑᲐᲦᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲖᲠᲓᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲛᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲛᲘᲠᲐᲜᲓᲐ ᲡᲕᲐᲜᲐᲫᲔ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲡ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲑᲐᲦᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲓᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲐᲓ ᲓᲐ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ: „ᲩᲕᲔᲜ ᲧᲔᲚᲔ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘ ᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲑᲐᲦᲔᲑᲨᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲬᲔᲠᲘᲐ ᲑᲣᲦᲐᲚᲢᲔᲠᲘᲐᲨᲘ, ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ ᲔᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲓᲘᲡ ᲝᲠ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲐᲜ ᲡᲐᲛ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲘᲛ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲗ, ᲠᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐᲪ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣ-ᲚᲘᲐ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲑᲐᲦᲨᲘ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ. ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲐᲛ ᲗᲔᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲢᲔᲜᲓᲔᲠᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲪᲮᲐᲓᲝᲗ. ᲑᲐᲦᲔᲑᲡ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ ᲝᲠᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ, ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲝᲠᲐᲡᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲔᲑᲘᲐ, ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪᲐᲐ ᲨᲔᲨᲐ, ᲬᲧᲐᲚᲘ, ᲨᲣᲥᲘ, ᲙᲕᲔᲑᲐ - ᲛᲗᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲬᲔᲚᲘ�წᲐᲓᲨᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲙᲕᲔᲑᲐ ᲯᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲛᲔᲢᲘ ᲗᲐᲜᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲤᲐ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲕᲔᲠ ᲮᲔᲠᲮᲓᲔᲑᲐ“.

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ 6- ᲒᲕ.

ᲑᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲚᲛᲖᲠᲓᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲖᲘᲔᲑᲘ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ

ᲜᲘᲜᲝ ᲒᲕᲐᲡᲐᲚᲘᲐ
ᲤᲝᲗᲘ

ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲘᲡ ᲣᲤᲜᲝᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲤᲝᲗᲘᲡ ᲛᲔ-3 ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲘ 400 ᲚᲐᲠᲘᲗ ᲓᲐᲯᲐᲠᲘᲛᲓᲐ, ᲠᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲪ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲐᲚᲙᲔᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲞᲘᲠᲤᲐᲠᲔᲨᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲑᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲛᲘᲠᲐᲜᲓᲐ ᲡᲕᲐᲜᲐᲫᲔ, ᲐᲠ ᲣᲐᲠᲧᲝ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲯᲐᲠᲘᲛᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲖᲔᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲑᲐᲦᲘ ᲓᲐ ᲔᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ: „ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲘᲡ ᲣᲕᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ, ᲩᲕᲔᲜ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲐᲥᲡᲘ�მᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲬᲔᲡᲠᲘ�გᲨᲘ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ, ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ, ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲑᲐᲦᲨᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲐ - ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔᲗ ᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲒᲕᲔᲙᲘᲡᲠᲔᲑᲝᲓᲐ“.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲕᲐᲠᲙᲕᲘᲔᲗ, ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲡᲔ ᲰᲐᲠᲛᲝᲜᲘᲣᲚᲘ ᲡᲣᲚᲐᲪ ᲐᲠ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ. ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲞᲘᲠᲐᲓ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐᲛᲔᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲐᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲑᲐᲦᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲡᲐᲞᲘᲠᲤᲐᲠᲔᲨᲝᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲯᲐᲠᲘᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡᲐ, ᲡᲮᲕᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲪ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ. ᲛᲐᲗᲘ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛISᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲐᲦᲔᲑᲘ ᲣᲤᲐᲡᲝᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲡᲣᲚ ᲣᲬᲔᲕᲗ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲮᲘᲡ ᲨᲔᲒᲠᲝᲕᲔᲑᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘ, ᲠᲝ�გᲝᲠᲘᲪᲐᲐ ᲧᲔᲚᲔ, ᲡᲐᲞᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ. „ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ ᲑᲐᲦᲘ ᲣᲤᲐᲡᲝᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲡ

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ ᲑᲐᲦᲘ ᲣᲤᲐᲡᲝᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲡ ᲗᲐᲜᲮᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲒᲠᲝᲕᲔᲑᲐ ᲡᲣᲚ ᲒᲕᲘᲜᲔᲕᲡ, ᲮᲐᲜ ᲨᲔᲨᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲰᲔᲮᲐᲓ 2-2 ᲚᲐᲠᲘ ᲛᲘᲒᲕᲐᲥᲕᲡ, ᲮᲐᲜ ᲬᲘᲒᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲮᲐᲜ ᲥᲔᲚᲔ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐᲗ, ᲮᲐᲜᲐᲪ ᲡᲐᲞᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲜ ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲔᲜ.

ᲒᲕᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲘᲜᲔᲕᲓᲔᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲡ ᲐᲛ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘᲡ ᲧᲘᲓᲕᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲔᲑᲘ ᲘᲡᲔᲓᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲓᲐᲜ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲐᲛᲐᲓᲚᲐ ᲠᲝᲛ ᲕᲗᲥᲕᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲩᲔᲛᲡ ᲨᲕᲘᲚᲡ ᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲔᲥᲛᲜᲐᲡ ᲐᲦᲛᲗᲠᲓᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ, ᲐᲠᲐᲓᲐ ᲘᲛᲐᲗᲐᲡᲪ ᲠᲐ ᲥᲜᲐᲜ?

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲡᲐᲞᲘᲠᲤᲐᲠᲔᲨᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲐᲛ ᲓᲠᲝᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲞᲘᲠᲤᲐᲠᲔᲨᲝᲡ �გᲐᲙᲔᲗ

ქართველი მეთევზეები თავიანთი უფლებების აღდგენას ითხოვენ

მარი ჯავახია
ფოთი

ქაფშიის რეწვის სეზონი შავ ზღვაში წელსაც ქართველი მეთევზეების მოუგვარებელი პრობლემებით მალე დასრულდება.

წლებია, ქართველი მეთევზეები თავიანთ ქვეყანაში მუშაობის უფლებისთვის იბრძვიან. მათ ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე საპროტესტო აქციაც კი გამართეს. რამდენიმე დღის წინ, დახმარების თხოვნით მეთევზეებმა საქართველოს პრემიერმინისტრს, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროებს და სხვა შესაბამის სტრუქტურებს მიმართეს და იმედოვნებენ,რომ ქვეყანაში არსებული ბევრი პრობლემის მიუხედავად, დაეხმარებიან თევზის მრეწველობის აღდგენაში და წართმეული ბიზნესის დაბრუნებაში. ისინი ითხოვენ კანონის დაცვით დარეგულირდეს თევზის მრეწველობაში წლების განმავლობაში მიზანმიმართულად თუ შეცდომით მიღებული ნაკლოვანებები. მეთევზეები არ ითხოვენ კომპენსაციას, ითხოვენ სამართლიანობის აღდგენას და დასაქმებას. თვლიან, რომ რამდენიმე ათასი ადამიანის დასაქმებით ქვეყანაც მიიღებს სერიოზულ შემოსავალს.

მთავრობის ცვლილების მერე მეთევზეებს მუშაობის იმედი გაუჩნდათ, მაგრამ როგორც ამბობენ ჯერჯერობით მათთვის სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა: " ჩვენთვის გასაგებია, რომ ქვეყანაში უამრავი უკანონო გადაწყვეტილებაა დაგროვილი და ყველაფრის დალაგებას დრო სჭირდება, მაგრამ ვთვლით, რომ ჩვენი საქმეც საჩქაროა. ყველაფერს ნათელი მოეფინება, თუ მთავრობა გამოყოფს კომისიას ან დაავალებს შესაბამის სამსახურებს თევზის მრეწველობაში მდგომარეობის შესწავლას. როგორ ფიქრობთ, ქვეყანასაც არ წაადგება სასიკეთოდ ქვეყნის ბიუჯეტიდან ერთი თეთრის დაუხარჯავად, 700-მდე საქართველოს მოქალაქის დასაქმება, 50-მდე გემის სრული დატვირთით ამუშავება და 50 მილიონი დოლარის შემოსვლა ქვეყანაში? თუ უცხო ქვეყნის 20 გემის შემოყვანა ჯობია საქართველოს სანაპირო ზოლის გასანადგურებლად? 500-მდე თურქი მოქალაქეა დასაქმებული ჩვენთან და რამდენიმე მილიონი დოლარიც გაედინება ქვეყნიდან"- აღნიშნა საქართველოს მეთევზეთა კავშირის თავმჯდომარემ მურად მიმინოშვილმა.

მეთევზეების მტკიცებით ისინი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ წყლებში არსებული თევზის ათვისებას შეძლებენ, თუ მთავრობა ადგილობრივი მეწარმეების მხარდაჭერასა და დახმარებას მოინდომებს.

პროფესიონალი მეთევზეები საკითხს პროფესიულ ჭრილში განიხილავენ და ამიტომაც დღეს წინა წლებში ქართველი მეთევზეებისთვის მიუღებელი გადაწყვეტილებისა და არასწორად ჩატარებული აუქციონის გამომწვევ მიზეზებზეც საუბრობენ. „თუ არ შეიცვალა ეს კანონი, გაგრძელდება ისევ ქართველ მეთევზეებზე ზეწოლა და ისევ იბოგინებენ არა ქართველები, არამედ უცხოელები"- აცხადებენ ისინი.

ყველაფერი კი აქედან დაიწყო - საქართველოში და, რა თქმა უნდა, ჩვენს ქალაქში ოდითგანვე განვითარებული იყო თევზის მრეწველობა. ქართველი მეთევზეები თევზს იჭერდნენ საქართველოს ტერიტორიულ წყლებში და ხდებოდა მისი გადამუშავებაც. თევზიდან მზადდებოდა 5 ათას ტონამდე თევზის ფქვილი და ზეთი, შიდა წყლებში 2-3 ათასი ტონა მტკნარი წყლის თევზი მოიპოვებოდა. ტონობით ქაფშიას იჭერდნენ, მზადდებოდა როგორც სასურსათო, ისე დიდი რაოდენობით დაკონსერვებული საქონლის საკვები. თევზის პროდუქციის 90 % გადიოდა ქვეყნის გარეთ და ქვეყნის ბიუჯეტი საკმაოდ სოლიდური თანხით მდიდრდებოდა. თევზის მოპოვება- გადამუშავებით დასაქმებული იყო 5-7 ათასი ადამიანი. წინა საუკუნის 90-იან წლებში ქვეყნის ნგრევასთან ერთად განადგურდა თევზის მრეწველობაც, სახელმწიფომ გაყიდა საოკეანო თევზმომპოვებელ- გადამამუშავებელი გემები, საოკეანო თევზჭერის სამართველო გააუქმეს და ათასობით მუშა-მოსამსახურე უმუშევარი დარჩა, არსებული მაცივრები და საამქროები მიზერულ თანხებად გაიყიდა.

1990 წლამდე საქართველოში არსებობდა გაგრის, სოხუმის, ყულევის, ფოთის, გრიგოლეთის, ბათუმის მეთევზეთა მეურნეობები და კოოპერატივები. მათ შეინარჩუნეს საწარმოები და 50-მდე თევზსაჭერი გემი, 700 მაღალკვალიფიციური მუშა-მოსამსახურე, რომლებიც მთავრობის მხარდაჭერის იმედით შეეცადნენ თევზის მრეწველობის აღდგენას, მაგრამ წინა ხელისუფლებამ მხარდაჭერის ნაცვლად ქართველ მეთევზეებს 1 ტონა ქაფშიის მოსაკრებელი 7 ლარიდან 25-მდე გაუძვირეს.

დასასრული 5 - გვ.

,,აიეტის,, დევნილებს ულიფტობა აწუხებთ

ეკა კაცია
ფოთი

ფოთის ყოფილი სასტუმრო "აიეტის" შენობა ორი წელია, გარემონტდა და დევნილები ჩაასახლეს. აქაურმა მაცხოვრებლებმა მოგვმართეს თავიანთი პრობლემით. საქმე იმაშია, რომ მათ ლიფტი კი გაურემონტეს, მაგრამ დღემდე არ არის ჩართული და არ ფუნქციონირებს.

ჩვენ ამასთან დაკავშირებით, მივმართეთ შპს „ფოთილიფტის" დირექტორს მერაბ როყვას. როგორც მან გვითხრა, ყოფილი სასტუმრო "აიეტის" 9 სართულიანი შენობა ჯერჯერობით არ არის გადმოცემული ქალაქზე, იგი ჯერ კიდევ დევნილთა სამინისტროს ბალანსზე გახლავთ და როგორც კი გადმოვა ქალაქის ბალანსზე, ლიფტიც მაშინ ჩაირთვება.

„აიეტის" მაცხოვრებლების გარდა ლიფტების მუშაობით უკმაყოფილო და შეწუხებულ მოქალაქეებს არაერთხელ მოუმართავთ რედაქციაში დახმარებისთვის. როგორც ისინი განმარტავდნენ, კორპუსებში ლიფტები დღეგამოშვებით მუშაობს. ხშირია შემთხვევები, როცა ლიფტი სართულებს შორის იჭედება და ჩერდება. ყველაზე დიდი პრობლემა ის გახლავთ, რომ ლიფტი ხშირად „ყლაპავს" მონეტას და საჭიროა რამდენჯერმე ჩაგდება. მოსახლეობა ჩივის, რომ არ ხდება გაფუჭებული ლიფტის დროულად შეკეთება, ღამის საათებში გაფუჭებულ ლიფტს საერთოდ არავინ კითხულობს. ხალხი თვლის, რომ შპს „ფოთი ლიფტი" არაეფექტურად მუშაობს. სამსახურის მიმართ მოსახლეობის მიერ წაყენებულ ბრალდებას როყვამ უსაფუძვლო უწოდა და დაგვიდასტურა, რომ ლიფტების პრობლემა არა მხოლოდ "აიეტის" მოსახლეობას აწუხებს, არამედ ქალაქში 64 ლიფტია, რომელთაგან თითქმის ყველა საჭიროებს რეაბილიტაციას. როგორც მერაბ როყვა ამბობს, ლიფტები ძველია და ამასთან ერთად მოსახლეობის უხეში მოქცევა და უყურადღებობაც იწვევს გარკვეულ პრობლემებს და მათ დაზიანებას. „მე არ მივიღებ მოსახლეობის პრეტენზიებს, რადგან ჩვენზე მეტად მათი მოვალეობაა მოუარონ ლიფტს თავიანთ სახლებში. მოგეხსენებათ, ეს ძველ სისტემაზე აწყობილი ლიფტებია. ახლის გაკეთება ძალიან დიდ ფულთანაა დაკავშირებული. ამიტომ, რაც გვაქვს, იმას უნდა მოვუაროთ. სამწუხაროდ, მოსახლეობა არ უფრთხილდება ლიფტებს. გასაგებია, რომ ფუჭდება, მაგრამ ამის მიზეზს კითხულობენ? რატომ არავინ ამბობს, მთვრალები რომ ამტვრევენ ლიფტის კარებს, მონეტის ჩასაგდებ ადგილას ლითონის სხვადასხვა საგნებსა და ძველ ფულს ყრიან, ზოგი სულს უბერავს, მეტიც, ლუდს ასხამენ, შედეგება კონტაქტი და ლიფტის კაბინა იმ მომენტისთვის შეიძლება იძვრის, მაგრამ საბოლოო ჯამში იწვევს მთლიანი მექანიზმის მოშლას. ლიფტს აფუჭებს ზედმეტი ტვირთი. მაღალ სართულებზე ეზიდებიან სამშენებლო მასალებს, სილას, ცემენტს, ქვიშას, რასაც ერთიანად ტვირთავენ, რომ ერთიანად აიტანონ. ხშირად ხდება, რომ დენის ძაბვის ცვლა აჩერებს ლიფტს. უამრავი მიზეზია, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებლად შეიძლება მოხდეს. ლიფტი საკმაოდ რთული მექანიზმია და არავინ იცის, როდის გაფუჭდება. მთავარია, გაფუჭებას დამტვრევაც არ დავამატოთ ზედ. ყველაზე მეტად ლიფტს სწორედ ათთეთრიანის ნაცვლად სხვადასხვა რკინის საგნებისა და უვარგისი მონეტების გამოყენება აფუჭებს."-გვითხრა მერაბ როყვამ.

ათთეთრიანის ნაცვლად მოსახლეობის მიერ გამოყენებული სხვადასხვა რკინის ნაჭრები და უვარგისი მონეტებით სავსე რამდენიმე ტომარა „ფოთი ლიფტში" დღემდე რჩება უსიამო „რელიქვიად".

როყვასთან საუბრის შემდეგ აჭარისა და სამეგრელო ზემო- სვანეთის ტერიტორიული ორგანოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელ დათო ნარსიასაც გავესაუბრეთ და როგორც მან აგვიხსნა, მიმდინარეობს დევნი-

დასასრული 5 - გვ.

ქართველი მეთევზეები თავიანთი უფლებების აღდგენას ითხოვენ

დასაწყისი 4-გვ.

ამასთან, იცოდნენ რა, რომ გაძვირებისას ქართველი მებადურეები ვერ შეძლებდნენ აუქციონში მონაწილეობას, ჩაატარეს აუქციონი და მთელი თევზის მრეწველობა ჩააბარეს 4 კომპანიას უცხო ქვეყნის 20 გემის შემოყვანის უფლებით. ქართველი მეთევზეები ამბობენ, რომ "ასეთი ვანდალური მიდგომა თავისი ქვეყნის მეწარმეებისა და ხალხის მიმართ მსოფლიოში არც ერთ ქვეყანას აზრადაც არ მოსვლია". ისინი ამბობენ, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში თევზსაჭერ გემებს გააჩნია თევზის მოპოვების ლიცენზია და მოპოვებულ თევზს აბარებენ თევზგადამამუშავებელ ქარხნებს, როგორც ეს იყო საქართველოშიც აუქციონის ჩატარებამდე.

მეთევზეები აუქციონის სხვა პირობებსაც უსამართლოდ მიიჩნევენ. კერძოდ, აქციონის ჩატარების დროს და მერეც რამდენიმე წელი ბადე- იარაღების ზომები მორგებული იყო კანონით საქართველოს ზღვის სანაპირო ზოლის სიღრმეებზე(ქისა ბადე 900 მეტრი *100 მეტრზე ხოლო პელაპიური ტრალი 38.1 მეტრი). ბადეების კონსტრუქცია ისე გახლდათ აგებული, რომ არ მომხდარიყო გამოსაზამთრებლად შემოსული თევზის გუნდის მთლიანი განადგურება, ზომების და კონსტრუქციის დაცვა მკაცრად კონტროლდებოდა, მაგრამ, როგორც მეთევზეები გვეუბნებიან, თურქი მეთევზეების მოთხოვნით, მთავრობამ შეიტანა, " ბრაკონიერული ცვლილებები" ბადეების ზომებში და 2011 წლის 6 აპრილს 100 მეტრიანი ბადის სიმაღლე გახდა 300 მეტრი, რომელიც მთლიანად სპობს სათევზაო ზოლს. ეს ცვლილება აუქციონის პირობების დარღვევით მოხდა,რასაც ეწინააღმდეგებოდნენ ქართველი მეთევზეები, მაგრამ გარემოს დაცვის სამინისტრომ ყურად არ იღო მათი პროტესტი. მეთევზეები ამტკიცებენ, რომ მათი თხოვნა არავინ შეისმინა, რადგან გარემოს დაცვის სამინისტროს რამდენიმე ჩინოვნიკი კორუფციულ გარიგებაში გახლდათ გარეული. დაკანონებული 300 მეტრი სიღრმის ბადეები კი ანადგურებს ყველა სახის თევზს. მოპოვებული თევზის 90 % მიდიოდა არასასურსათო დანიშნულებით, როდესაც მთელ მსოფლიოში მოპოვებული თევზის 60 % გამოიყენება სასურსათო დანიშნულებით, ხოლო 40 % არასასურსათოდ. "ჩინოვნიკების ხელშეწყობით, ბრაკონიერობის დაკანონებით, მთლიანადაა ამოწმენდილი საქართველოს ზავი ზღვის სანაპირო ზოლი, რასაც ჩვენ ვეწინააღმდეგებოდით, მაგრამ მთავრობა მხარს უჭერდა და ვინ გვისმინა?"- ამბობენ მეთევზეები.

მათივე თქმით,2013 წლის 14 მარტს გარემოს დაცვის სამინისტროს თხოვეს დამატებით გამოეყოთ ქართველი მეთევზეებისთვის 10 ათასი ტონა ქაფშიის მოპოვების უფლება, მაგრამ უარი მიიღეს, რადგან მოთხოვნა ეწინააღმდეგებოდა კანონს და აუქციონის პირობებს.

მომდევნო წელს კი იმავე სამინისტრომ თურქი მეთევზეების მოთხოვნის საფუძველზე, ამოსაღები კვოტის რაოდენობა 60 ათასიდან 85 ათას ტონამდე გაზარდა (?!). როგორც ჩვენი რესპოდენტები ამბობენ, იმ პერიოდში პრაქტიკულად არ განხორციელებულა მეცნიერული მოკვლევა ამოსაღები ბიორესურსების დადგენაზე და როგორც მოსალოდნელი იყო, პირდაპირ ზოგიერთი ჩინოვნიკების კაბინეტში გაფორმდა შესაბამისი დოკუმენტი.

როგორც მეთევზეები გვეუბნებიან, 2005-2007 წლებში რამდენჯერმე დაირღვა აუქციონის პირობები. კანონის თანახმად, სამინისტრო ვალდებული იყო კანონდამრღვევი კომპანიებისთვის ჩამოერთვა მოპოვების უფლება, მაგრამ მთავრობას ეს არ გაუკეთებია, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეთევზეების თქმით, ჩინოვნიკების ნაწილი უსამართლო ბიზნესის წილში იყვნენ.

იმედია, ახალი მთავრობისთვისაც არ დარჩება მათი თხოვნა "ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა" და წლების განმავლობაში არსებული პრობლემა მომავალი წლის თევზის რეწვის სეზონის დაწყებამდე მოგვარდება.

საჯარო მოხელეთა შესარჩევი კონკურსი ფოთში 14 აპრილს გაიმართება

საჯარო მოხელეთა შესარჩევი კონკურსი ფოთში 14 აპრილს გაიმართება. მერიაში 40 ვაკანსიაზე 872 კაციდან 2400-მდე განცხადებაა შესული, აქვე აღვნიშნავთ, რომ ერთ ადამიანს რამდენიმე ვაკანსიაზე (5 ვაკანსიაზე) შეეძლო განაცხადის გაკეთება.

საატესტაციო კომისიას ახალი თავმჯდომარე ჰყავს. ირაკლი კაკულია ვიცე-მერმა ლევან ჩოჩიამ ჩაანაცვლა. ტესტირებას გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები ჩაატარებენ. ამჟამად კონკურსანტთა განაცხადების გადარჩევა მიმდინარეობს. ბოლო ეტაპი გასაუბრებაა. ფოთელების გარდა ფოთში სამსახურის დაწყების მსურველი სხვა რეგიონებიდანაც არიან.

ბაღების გაერთიანების მიმართ აღმზრდელებისა და მშობლების პრეტენზიები იზრდება

დასაწყისი 3-გვ.

მოდის ბაღებში დასასუფთავებელი საშუალებები. გაგიგია ნახევარი ქლორი და ჟელე ერთი თვის განმავლობაში იმყოფინო? ამით როგორ დავიცვა სისუფთავე ან 20 ბავშვს ერთი თვის განმავლობაში ერთი ტვალეტის ქაღალდი ეყოფა? არადა ჩემი თვალით რამდენჯერ მინახავს, რომ იცლებოდა გაერთიანებაში მანქანა საქონელისგან. სად მიდის ამდენი საქონელი? როცა მოვითხოვეთ გაერთიანების უფროსისგან მხოლოდ უხეშ პასუხს ვიღებთ – რაც გინდათ, ის ქენით, საიდანაც გინდათ იქედან მოიტანეთ და ასე შემდეგ. ჩვენც იძულებული ვართ, ან მშობლებისგან ავაგროვოთ ფული,ან სახლიდან მოვიტანოთ, ან ისედაც მცირე ხელფასებიდან შევიძინოთ საჭირო ნივთები. სანამდე შეიძლება ასე მუშაობა? ისედაც მცირე ხელფასები გვაქვს და ისიც აქ უნდა დავტოვოთ? ხან ამის დაბადების დღეა, ხან სტუმარია და ხანაც რავი რაზე არ ვაგროვებთ".- განაცხადეს აღშფოთებულებმა, რომლებმაც სამსახურის დაკარგვის შიშით ვინაობის დასახელება არ ისურვეს. ისინი გაერთიანების უფროსს ნეპოტიზმშიც ადანაშაულებენ, მაგრამ სვანაძემ ამას უსაფუძვლო უწოდა: "ნამდვილად უსაფუძვლო ცილისწამებაა, მას ნეპოტიზმს მიაწერენ, რადგან თავისი შვილი ბაღში დაასაქმა. ნატო ესიავას შვილმა დაამთავრა დაწყებითი განათლება და გაიარა ტრენინგი-კურსები ლოგოპედისთვის, ამჟამად ფოთის 6 ბაღში ასწავლის, ლოგოპედი გახლავთ. ძალიან ნიჭიერი და ჭკვიანი ახალგაზრდაა. თითო ბაღი აქვს თითო დღეს, ყავს მეტყველების ნაკლის მქონე ბავშვები, რომლებთანაც საკმაოდ სერიოზული მუშაობაა საჭირო. ფოთი პატარა ქალაქია, ყველა ყველას იცნობს და ვინმეს თუ დაასაქმებ, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. ვინც მოდის სამსახურის სათხოვნელად, ვცდილობთ, კომპეტენციის ფარგლებში, დავასაქმოთ, რაც შეეხება ნეპოტიზს, ამასთან დაკავშირებით მე ნამდვილად ვერ დავეთანხმები ვერავის, რადგან ეს ყველაფერი სრული აბსურდია."

ასეთი ურთიერთსაპირისპირო დამოკიდებულება გახლავთ დღეს ფოთის ბაღებში და თანამშრომლების უკმაყოფილებაც ამ ფონზე დიდია.

,,აიეტის,, დევნილებს ულიფტობა აწუხებთ

დასაწყისი 4-გვ.

ლებისთვის ფართების დაკანონების პროცესი და 8 თვის განმავლობაში უნდა დაუკანონდეს 10 000 დევნილ ოჯახს საცხოვრებელი ფართი. შესაბამისად, ,,აიეტის" შენობის დაკანონებაც მოხდება პროექტის შესაბამისად და ეს პრობლემებიც გადაიჭრება.

ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ზვიად შუბითიძემაც იგივე გვითხრა: ,,აიეტის შენობა ჯერ კიდევ დევნილთა სამინისტროს ბალანსზეა და ქალაქისთვის არ არის გადმოცემული. ეს დამოკიდებულია დევნილთა სამინისტროზე. როგორც კი მოექცევა ქალაქის ვალდებულების ქვეშ, შესაბამისად, მოგვარდება აიეტის ლიფტის პრობლემაც".

შუბითიძემ მაგალითისთვის მოიყვანა ახლი რაიონის საკითხი: ,,ანალოგიური პრობლემა გვქონდა ახალ რაიონში, სადაც აშენდა 7 ახალი კორპუსი. მათ ქონდათ სადარბაზოების განათების და გარე განათებასთან დაკავშირებული პრობლემები. ვინაიდან ქალაქის ბალანსზე არ იყო გადმოცემული ეს შენობები, ამის განხორციელებას ვერ შევძლებდით. ის შვიდივე კორპუსი უკვე გადმოგვეცა და ქალაქის ბალანსზეა, დაყენებულია საკითხი და მიდის შესაბამისი მუშაობა ქსელში ჩასმასთან დაკავშირებით".

იმედია, მალე "აიეტის" ლიფტის საკითხიც მოგვარდება.

პრობლემა ყურადღების მიღმა

ნინო გვასალია
ფოთი

ყველა განვითარებულ ქვეყანაში პანდუსებს დიდი ყურადღება ექცევა და ყველგან აკეთებენ კიდეც, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე და მით უმეტეს, ჩვენს ქალაქზე. აღნიშნული პრობლემა აქ მწვავედ დგას და შეზღუდული შესაძლებლობები ს პირებს ძალიან უჭირთ ამ მხრივ. სწორედ ეს აწუხებს 20 წლის გიორგი ბერიშვილს, რომლისთვისაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო პირობა ქალაქში ეტლით გადაადგილება გახლავთ. იგი ვერ ახერხებს ქალაქში თავისუფლად მოძრაობასა და დამოუკიდებლად ნებისმიერ ადგილას ეტლით მისვლას. ამბობს კიდეც, რომ ჩვენს ქვეყანაში ნაკლებად აქცევენ ყურადღებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან დაკავშირებულ პრობლემებს,რადგან ქუჩაზე გადასასვლელები, შენობები და არც ტრანსპორტი არ არის მოწესრიგებული, რის გამოც ძალიან უჭირს საზოგადოებასთან ადაპტირება და გარეთ დამოუკიდებლად გადაადგილება. გიორგის დედა მანანა ბერელიძე როგორც ამბობს: „როდესაც გიორგი ჯერ კიდევ პატარა იყო, ქალაქში გადაადგილების პრობლემას ასე მწვავედ ვერ ვგრძნობდით, ხან ხელით დაგვყავდა, ხანაც ჩვენ ვატარებდით ეტლით. რაც წამოიზარდა,დამოუკიდებლად გადაადგილება უნდა,ეს კი დღესდღეობით საკმაოდ რთულია, რადგან ქალაქში უამრავი შენობის კიბეს არ გააჩნია პანდუსი, რის გამოც გიორგი დამოუკიდებლად, ზოგჯერ კი საერთოდაც ვერ ახერხებს მისვლას ამა თუ იმ ადგილას“.

ფოთის ინფრასტრუქტურის სამსახურში ამტკიცებენ, რომ ბოლოდროინდელ მშენებლობებში ყველა სტანდარტი დაცულია. არსებული ინფრასტრუქტურის უმრავლესობა კი სათანადოდ კეთილმოწყობილი არ არის, რადგანაც 1995 წლამდე შესაბამისი ნორმების დაცვა სავალდებულო არ იყო.

იმ რამდენიმე შენობაშიც კი, რომელიც თითქოს მოწესრიგებულია ამ მხრივ, გადაადგილება მაინც თითქმის შეუძლებელია. ხშირად ამ პრობლემის მოგვარების მიზნით, მხოლოდ შენობაში შესასვლელი ან პირველი სართულია შედარებით ადაპტირებული, ეს კი საკმარისი არ არის იმისთვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირმა თავისუფლად შეძლოს გადაადგილება.

გიორგის მეგობარი ნიკა გელენავა გვეუბნება, რომ ამ მხრივ დიდი პრობლემაა ქალაქში: „ჩემი მეგობრის, გიორგის მდგომარეობიდან გამომდინარე, თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოში დღეს ნამდვილად არის პრობლემა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანთა გადაადგილების მხრივ. როდესაც გიორგი ცდილობს დამოუკიდებლად გადაადგილებას, უმეტესად მას გამვლელები ეხმარებიან, რათა შეძლოს ქუჩის საპირისპირო მხარეს გადასვლა, სატრანსპორტო საშუალებებზე აღარაფერს ვამბობ – ამ შემთხვევაში უფრო რთულადაა საქმე,რადგან ისინი სრულიად მოუხერხებელია ასეთ სიტუაციაში“.

ავტობუსებს, მარშუტკებსა თუ სხვა სატრანსპორტო საშუალებებს არ გააჩნიათ პანდუსები და არანაირად არ არის შექმნილი ის პირობები, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირმა თავისუფლად შეძლოს ტრანსპორტით გადაადგილება ქალაქსა თუ ქალაქგარეთ.

გარდა საჯარო დაწესებულებების, ტრანსპორტის და გადასასვლელთა თუ გზების მოუწესრიგებლობისა პრობლემაა ავტოსადგომების მხრივაც, ეტლით მოსიარულეთათვის გამოყო-

ფილი ავტოსადგომი არცთუ ისე ბევრია ჩვენს ქალაქში და თუ არის, მაშინაც სხვა მანქანაა გაჩერებული ან ისეა ჩახერგილი,რომ მისვლა ფაქტობრივად შეუძლებელია. როგორც გიორგი ბერიშვილი ამბობს: „გარდა ინფრასტრუქტურისა, პრობლემას ვაწყდებით ჩვენთვის სპეციალურად გამოყოფილ ავტოსადგომებზეც. მე პირადად, არ ვსარგებლობ საკუთარი ავტომობილით, თუმცა ანალოგიური პრობლემის მქონე მეგობრებისგან ვიცი, რომ ჩვენთვის მანქანების გასაჩერებლად სპეციალურად გამოყოფილი ადგილები ხშირად დაკავებულია, რაც გარკვეულ სირთულეებს ქმნის. ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუ მსგავსი შემთხვევებისას გარკვეულ ჯარიმას დააწესებენ, თუმცა, როგორც ჩანს, მთავრობას ამ პრობლემების მოსაგვარებლად ჯერ არ სცალია“.

მოქმედი კანონმდებლობით საცხოვრებელი სახლებისა თუ გადასასვლელთა მშენებლობისას სავალდებულოა, შშმ პირთა ინტერესების გათვალისწინება. შესაბამისი ნორმების დარღვევისთვის გათვალისწინებულია ადმინისტრაციული ჯარიმა. თუმცა, კოალიციის გამგეობის წევრი, რატი იონათამიშვილი ამბობს, რომ მრავალი დარღვევის მიუხედავად, ჯერ არავინ დასჯილა. მისი თქმით, არ არსებობს სახელმწიფო ორგანო, რომელიც სტანდარტების დაცვას გააკონტროლებს. ამიტომაც, პრობლემა კვლავ უყურადღებოდ რჩება, მისი მოგვარების გზები არ ჩანს, აღნიშნულ პირებს კი ცხოვრება უფრო ურთულდებათ.

დასემული ლარი, ,,აგულავებული,, დოლარი და ცეცხლმოკიდებული ბაზარი

დასაწყისი 3-გვ.

მეგულება ისეთი ადამიანიც, სესხი რომ არ ქონდეს. პირადად ჩემთვის, მაგალითად, 300 ლარით გაძვირდა ყოველთვიური ხარჯი და ალბათ ყველა ადამიანისთვის ასეა,ზოგისთვის უფრო მეტი ზოგისთვის, უფრო ნაკლებით, მაგრამ ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, ყველანაირად ხელი შევუწყოთ ჩვენს მეიჯარეებს თუნდაც იჯარის გადახდაში. როცა ყოველთვიურად უნდა ხდებოდეს გადახდა, გვაქვს ძალიან ბევრი დავალიანება, ეტაპობრივად ვახდევინევთ. ზოგს ორი თვის დავალიანება აქვს ან სამი თვის, მაგრამ მაქსიმალურად ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ. იყო ისეთიც,რომელმაც ვერ გადაიხადა ორი თვის დავალიანება, ვერ გაუძლო და დაკეტა. ამ ორი თვის იჯარის თანხაც გადაუხდელი დარჩა და ჩვენ გადავიხადეთ იმიტომ, რომ ის ოფიციალური გატარების არის და ყველა სამსახურმა მისი თანხა უნდა გადაიხადოს“.

რაც შეეხება სურსათის მაღაზიებს, ბელქანია როგორც ამბობს, არც ერთი მათგანი არ დახურულა, მაგრამ ძალიან უჭირთ მუშაობა,რადგან ხალხი არ დადის ბაზარში: „ყველა პროდუქტი გაძვირდა თითქმის. აბსოლუტურად ყველა მაღაზია იღებს ძალიან ცოტა საქონელს. თავად შევესწარი, როგორ ურჩევდა დისტრიბუტორი გამყიდველს, რომ ცოტა აიღონ პროდუქტები, რადგან დოლარის დაკლებასთან ერთად შესაძლოა, პროდუქტებმაც დაიკლოს. რამდენადაც ვიცი,არის ისეთი დისტრიბუცია, საწყობებიც,რომელიც საერთოდ არ ამატებს ფასს იმიტომ, რომ მას აქვს მარაგი ძალიან ბევრი, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც გამოელიათ პროდუქტი და მოუწია მომატებულ ფასში აღება, მაგრამ თვითონ დისტრიბუციაც თავისი ხელმძღვანელობიდან გამომდინარე, ვარაუდობს, რომ როგორც დოლარი დაიწევს, ფასებიც დაიკლებს“.

ბელქანიას თქმით, არ გაძვირებულა ქათამი, ხორცი, თევზეული და ყველი. რაც შეეხება ბოსტნეულს, ფასები მოემატა მხოლოდ თურქეთიდან შემოტანილ ბოსტნეულს.

ჩვენ ბაზარში ყოფნისას მყიდველებიც ჩავწერეთ. ყველა მათგანი შეწუხებულია ფასების ასეთი მატებით:

მაია 49 წლის –„გასაგებია, რომ ლარი გაუფასურდა და ფასებიც ამიტომ იწევს, მაგრამ ეს ხალხისთვის ნაკლები შეღავათია. ისედაც მწირი საოჯახო



ბიუჯეტი გვაქვს ფოთელებს და, საერთოდ, ქართველების უმრავლესობას, და კიდევ ასეთი მატება ძალიან ძნელია. როგორ უნდა ვიცხოვროთ? ასე თუ გაგრძელდა, ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ, იმედია, რაღაც გზას გამონახავს მთავრობა ლარის კურსის ასამაღლებლად”.

გურამი 35 წლის: - „გასაგებია, ყველგან, ასე ვთქვათ, “გულაობს” დოლარი და ყველგან ასეთი მდგომარეობა. ჩვენ კიდე შიმშილით ამოწყვეტა გვემუქრება. სულ არ ვამუქებ, რომ იცოდეთ. არის ოჯახები, სადაც არავინ მუშაობს და როგორ უნდა იცხოვრონ? პურსაც ვეღარ იყიდიან მალე. ძალიან მძიმე სიტუაციაა და ჩვენი მთავრობა ლაპარაკით ვეგარ დაიღალა”.

ნათელა 68 წლის: -„რას მეკითხები, შვილო? თავად ვერ ხედავ, ბაზარში ხალხი კანტი-კუნტად დადის, ფული აღარ აქვთ და როგორ იყიდონ რამე? არ ვიცი, მე გამოსავალს ვერ ვხედავ და გავწყდებით ალბათ მალე ყველა, მათაც ეს უნდათ”.

ნანიკო 23 წლის: „მე სტუდენტი ვარ და ჩემს მშობლებს ძალიან უჭირთ. დედაჩემი საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოდ და ასეა ქართველი ქალების უმრავლესობა, გადახვეწილნი არიან, რომ ოჯახს ტვირთი შეუმსუბუქონ. ძალიან გაძვირდა ცხოვრება. მე დედა მინდა ჩემთან იყოს, მაგრამ სამწუხაროდ არ გამოდის”.

გოგონას თვალებზე ცრემლი მოადგა და აღარ გავაგრძელეთ საუბარი. ისედაც ცხადია ყველაფერი. ჩვენც ამ ქალაქის მკვიდრნი ვართ და ჩვენც მათ გვერდით, მათ მდგომარეობაში ვართ.

კვლავაც არ ვკარგავთ იმედს, რომ ეს ყველაფერი დროებითია და მთავრობა ქმედით ღონისძიებად გაატარებს ლარის კურსის ასამაღლებლად და ფასების დასარეგულირებლად

ᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ

ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲒᲐᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲔᲑᲗ

გაზაფხულის დადგომის მიუხედავად, ვირუსები და გაციება არ იკლებს. თუ თქვენ ან თქვენს ახლობლებს შემოგიტიათ ვირუსებმა, სასარგებლო და სამკურნალო სასმელებს გაეცანით, რომლებიც სწრაფად და ანტიბიოტიკებზე უკეთესად დაგაყენებთ ფეხზე.

Tbili Cai TafliTa da limoniT

დააყენეთ შავი ან მწვანე ჩაი, შეაგრილეთ და დაუმატეთ ლიმონი და თაფლი. ასე ეს ორი ინგრედიენტი სასარგებლო თვისებებს შეინარჩუნებს და ყველაზე სერიოზული ვირუსის დროსაც კი ფეხზე დაგაყენებთ.

Jolos Cai cacxvis yvavilebiT

დააყენეთ ცაცხვის ჩაი, დაუმატეთ გამომშრალი ჟოლო ან მისი ფოთლები. გააჩერეთ 30 წუთი და დალიეთ. თუ ჟოლოს კენკრა არ გაქვთ, მურაბაც გამოგადგებათ.

askilis Cai

არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, რომ ასკილი "ცე" ვიტამინითაა მდიდარი. 3 სადილის კოვზ დანაწევრებულ ასკილს დაასხით 0,5 მდუღარე წყალი და მთელი ღამე გააჩერეთ თერმოსში. დილით გადაწურეთ და დალიეთ 1/2 ჭიქა დღეში 4-ჯერ ჭამამდე 30 წუთით ადრე.

Cai nivriT

ეს ჯადოსნური ნაყენი ერთ ღამეში დაგაყენებთ ფეხზე. თბილ რძეში დაუმატეთ გამოწურული ნივრის 10 წვეთი და დალიეთ ძილის წინ 30-40 წუთით ადრე.

janjafilis Cai limoniT

სასმელი, რომელიც გაგათბობთ, გაგიძლიერებთ იმუნიტეტს, აგიმაღლებთ შრომისუნარიანობას, შეგიძლიათ წელიწადის ნებისმიერ დროს დაამზადოთ, მაგრამ განსაკუთრებით გაზაფხულზეა სასარგებლო. იგი შემდეგნაირად მზადდება: 1 ჭიქა ადუღებულ, ცხელ წყალს დაუმატეთ პიტნის რამდენიმე ღერი, გახეხილი ჯანჯაფილი (0,5 ჩაის კოვზი), დანის წვერით დაფქული დარიჩინი, ლიმონის წვენი (1 სადილის კოვზი), უკვე შეგრილებულს კი - 1 ს/კ თაფლი. მიირთვით თბილი.

gvirilis Cai

გვირილა ანთების საწინააღმდეგო მცენარეა; ცაცხვთან და თაფლთან ერთად, გრიპთან საბრძოლველად საუკეთესო საშუალებად ითვლება. გვირილისა და ცაცხვის ყვავილების თითო ჩაის კოვზს დაასხით მდუღარე წყალი, გააჩერეთ 20 წუთი, გადაწურეთ და დალიეთ 1/3 ჭიქა სამჯერ დღეში ჭამამდე 20-30 წუთით ადრე. შეგრილებული შეგიძლიათ თაფლით დაატკბოთ.

◇◇◇

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში„

აცხადებს კონკურსს „წელიწადის გამყიდველი„-ს სახელზე

კონკურსში შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ყველა გამყიდველმა, რომლის მაღაზიაშიც იყიდება გაზეთი. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა და დაჯილდოება გაიმართება რედაქციაში საზეიმო ვითარებაში.
კონკურსში მონაწილეობა შეეძლება ყველა გამყიდველს რომლის მაღაზიაშიც გაიყიდება გაზეთი.
რედაქციას შეუძლია შესთავაზოს გამყიდველს მიიღოს მონაწილეობა კონკურსში, შეიძლება მკითხველებმა მიაღებინონ მონაწილეობა ან გამყიდველი თვითონ ღებულობს მონაწილეობას გაზეთის მიერ გამოცხადებულ კონკურსში.

1. ხმის მიცემა მოხდება გაზეთში დაბეჭდილი კუპონების მეშვეობით.
2. მკითხველს შეუძლია მისცეს ხმების ნებისმიერი რაოდენობა ერთ ან რამდენიმე გამყიდველს. არსებობს მხოლოდ ერთი პირობა - ხმის მიცემა შეიძლება მხოლოდ გაზეთიდან გამოჭრილ კუპონზე (ქსეროქსზე გადაღებული კუპონები კონკურსში მონაწილეობას არ ღებულობენ)
3. თვეში ერთხელ ამოირჩევა - თვის საუკეთესო გამყიდველი, რომელიც მიიღებს ჯილდოს-სიუპრიზს. თვეში ერთხელ ჯილდოს მიიღებს აგრეთვე ხმის მიმცემიც.
4. წლის ბოლოს კი დასახელდება წელიწადის გამყიდველი, რომელიც მიიღებს მნიშვნელოვან საჩუქარს.
5. ხმის მიცემა შეუძლია ყველა მკითხველს. თითოეულს შეუძლია შეავსოს გაზეთიდან ამოჭრილი კუპონების ნებისმიერი რაოდენობა. კუპონები შეიძლება გაიგზავნოს ან მოიტანონ რედაქციაში, ან შეიძლება მოიტანონ მაღაზიაში, რომელშიც იყიდება გაზეთი. მაღაზიიდან კუპონებს ღებულობს რედაქციის თანამშრომელი.

კონკურსი ცხადება ასევე ერთგული მკითხველი-ის სახელზე, წლის ბოლოს დაჯილდოვდება ის მკითხველი, რომელიც რედაქციაში გაზეთის ყველა ნომერს წარმოადგენს.

ცხელი ხაზი

გაზეთში „მთავარი თემა სამეგრელოში" მოქმედებს ცხელი ხაზი.

თუ გაქვთ პრობლემა: გესაჭიროებათ დახმარება, ან გსურთ თქვენი ხმა მიაწვდინოთ კომპეტენტურ პირსა და ორგანოს, დაგვირეკეთ ნომრებზე: 599 34 14 17, 574 34 14 17, ჩვენ შევეცდებით დაგეხმაროთ პრობლემის მოგვარებაში; შეგიძლიათ დაგვირეკოთ საქალაქო ტელეფონზეც: 04293 22 40 50

კუპონი №4

მთავარი თემა სამეგრელოში

G გამყიდველის მთავარი პრიზი - - - - - - - - - - -

ხმის მიმცემის პრიზი - - - - - - - - - - - - - - - -

1. ----------
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------

ხმის მომცემის სახელი და გვარი ----------
მისამართი: ----------
ტელ: ----------
ჩვენი მისამართი: ფოთი, წმინდა ნინოს 3/2, 0 492 22 40 50

გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ!
ერთი ნომრის ღირებულება
ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის
გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი
იკითხეთ გაზეთი მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაქირებაგე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაქიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)- 37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,

მთავარი თემა სამეგრელოში *თქვენი პრობლემების კვალდაკვალ*

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.